



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №17/2017

სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხის - „თანახმა ხართ თუ არა, რომ მოხდეს კანაფის და კანაფის პროდუქტების ლეგალიზაცია, ანუ ისევე რეგულირდებოდეს, როგორც თამბაქო და სპირტიანი სასმელები?“ და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობის რეგისტრაციის საკითხის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წლის 9 მარტი

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მიმდინარე წლის 8 თებერვალს, (ცესკოში რეგისტრაციის №288) შემოვიდა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის წევრების - ზურაბ ჯაფარიძის (თბილისი, გაბაშვილის №3), ვახტანგ მეგრელიშვილის (წყნეთი, ლესელიძის 14) და იაგო ხვიჩიას (აჭმედ ჯავადის №3 ჩიხი II), განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია, რომ ცესკომ რეგისტრაციაში გაატაროს საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა და მის მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი: „ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში, ადამიანებს არ უნდა სჯიდნენ ნარკოტიკების მოხმარების გამო?“ პასუხი: ა. დიახ, ბ. არა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 175-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „რეფერენდუმის შესახებ“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარეფერენდუმო საკითხის ფორმულირება მოცემული სახით ჩამოყალიბდა ცესკოს 2017 წლის 20 თებერვლის სხდომაზე, კერძოდ, საინიციატივო ჯგუფმა სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქციით: „თანახმა ხართ თუ არა, რომ მოხდეს კანაფის და კანაფის პროდუქტების ლეგალიზაცია, ანუ ისევე რეგულირდებოდეს, როგორც თამბაქო და სპირტიანი სასმელები?“. პასუხი: დიახ/არა (იხ. ცესკოს სხდომის ოქმი №04/2017; 20.02.2017).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 175-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნის, იქმნება საინიციატივო ჯგუფი. სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი საინიციატივო ჯგუფმა უნდა ჩამოაყალიბოს მკაფიოდ და კონკრეტულად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ცესკო სარეფერენდუმოდ შემოთავაზებულ საკითხს და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას ატარებს რეგისტრაციაში და ამის შესახებ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციასა და საინიციატივო ჯგუფის მისამართს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი მოთხოვნები. ანალოგიურ ნორმებს ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონის „რეფერენდუმის შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტები. ამდენად, იმისათვის, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატაროს სარეფერენდუმო საკითხი და მისი წარმდგენი საინიციატივო ჯგუფი, აუცილებელია, რომ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი იყოს მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოყალიბებული.

საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული სარეფერენდუმო კითხვა მრავალფრაგმენტიანია, გამორიცხავს რეფერენდუმში მონაწილეთა მიერ მასზე ცალსახა და კონკრეტული პასუხის გაცემის შესაძლებლობას. სარეფერენდუმო საკითხი ჩამოყალიბებული უნდა იყოს იმდენად კონკრეტულად, რომ შესაძლებელი იყოს მასზე მკაფიო პასუხის გაცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმების მოთხოვნებს.

მოცემულ შემთხვევაში, სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული კითხვა ბუნდოვანია და რეფერენდუმში მონაწილეთათვის გაუგებარი იქნება, თუ რა მოიაზრება სიტყვებში „კანაფი და კანაფის პროდუქტები“, რადგან „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „3¹.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცენარე კანაფი - Cannabis-ის გვარის ნებისმიერი სახეობა“-ა, ხოლო ამავე მუხლის „3²“ და „3³“ ქვეპუნქტებში მოცემულია ნარკოტიკული საშუალება „კანაფის“ და „კანაფის ფისის“ განმარტებები, კერძოდ: „კანაფი – მცენარე კანაფის წვეროები ყვავილებითა და ნაყოფით (გარდა ფოთლებისა და თესლებისა, რომელთაც არ ახლავთ მცენარის წვეროები), თუ მათგან არ არის გამოყოფილი ნებისმიერი დასახელების მქონე ფისი“; „კანაფის ფისი – მცენარე კანაფისგან მიღებული (გამოყოფილი), გაწმენდილი ან გაუწმენდავი ფისი“. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები მოცემულია კანონის №1 დანართში -

ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალში. აღნიშნული სიის №82 გრაფაში მითითებულია ნარკოტიკული საშუალება კანაფი, ხოლო №83, №84 და №85 გრაფებში, შესაბამისად - კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი, კანაფის ზეთი, კანაფის ფისი. ასევე, მითითებული ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები მოცემულია კანონის №2 დანართის 73-76 გრაფებში. ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდულ ნარკოტიკულ საშუალებებს წარმოადგენენ უმაღლესი სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე ნარკოტიკული საშუალებები, აგრეთვე სამედიცინო და სოციალური რისკის თვალსაზრისით მათთან გათანაბრებული სხვა ნივთიერებები, რომელთა ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე მკაცრად არის შეზღუდული. ამდენად, მითითებულ კანონში არაა მოცემული და განმარტებული „კანაფის პროდუქტები“, არამედ მოცემულია მხოლოდ ნარკოტიკული საშუალება კანაფი, კანაფის ზეთი, კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი და კანაფის ფისი. შესაბამისად, თავისთავად ბუნდოვანი და გაურკვეველი იქნება რეფერენდუმში მონაწილეთათვის, რა იგულისხმება სარეფერენდუმო კითხვაში მითითებულ „კანაფის პროდუქტებში“, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული კანაფის ზეთი, კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი, კანაფის ფისი ერთობლივად, მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მათგანი, თუ კიდევ სხვა რამ.

ასევე, ბუნდოვანი და გაურკვეველია, რა იგულისხმება სარეფერენდუმო-საინიციატივო ჯგუფის მიერ კანაფისა და კანაფის პროდუქტების ლეგალიზაციაში. ტერმინ „ლეგალიზაციის“ კანონისმიერი განმარტება მოცემულია მხოლოდ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას წარმოადგენს უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა (შემენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება). თუმცა, განსახილველი საკითხის სამართალურთიერთობის ქრილში, ტერმინი „ლეგალიზაცია“ საქართველოს შესაბამის კანონმდებლობაში არ არის განმარტებული და ამ მხრივაც სარეფერენდუმო შეკითხვის ეს ნაწილიც გაურკვეველია, თუ ზუსტად რას შეიძლება მოიცავდეს ტერმინი „ლეგალიზაცია“ მისი შინაარსის თვალსაზრისით.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ნარკოტიკული საშუალებების, მათ შორის, კანაფის, კანაფის ზეთის, კანაფის ფისის, კანაფის ექსტრაქტის და ნაყენის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება, აგრეთვე პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო

დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება ითვლება დასჯად ქმედებად და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ნარკოტიკულ საშუალებებს კანაფს, კანაფის ექსტრაქტს და ნაყენს, კანაფის ზეთს, კანაფის ფისს და მარიხუანას, რომლებიც მოცემულია აღნიშნული კანონის დანართის სხვადასხვა გრაფებში. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალება კანაფი, კანაფის ექსტრაქტი და ნაყენი, კანაფის ზეთი და კანაფის ფისი, როგორც ზემოთ აღნიშნულია, მოცემულია მითითებული კანონის №1 დანართის 82-85 გრაფებში, ხოლო მათი ოდენობები - №2 დანართის 73-76 გრაფებში, ხოლო ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა კი - №2 დანართის 92-ე გრაფაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რიგი გადაწყვეტილებების შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ძალადაკარგულია იმ მუხლების ნორმატიული შინაარსები, რომლებიც სასჯელის სახით ითვალისწინებენ მხოლოდ პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალების - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმნა/შენახვის გამო, ასევე ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის უკანონო დამზადების, შექმნისა და შენახვის გამო. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებდა ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის უკანონო შექმნის, შენახვისა და ამავე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები შეეხება მხოლოდ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის 92-ე გრაფაში მითითებულ ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას და არა სხვა ნარკოტიკულ საშუალებებს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ სარეფერენდუმო კითხვის შემოთავაზებული სახით ფორმულირებით, რეფერენდუმში მონაწილეთათვის გაუგებარი იქნება, თუ რა მოიაზრება კანაფისა და კანაფის პროდუქტების ლეგალიზაციაში - მათი მხოლოდ მოხმარება, თუ პირადი მოხმარებისათვის შექმნა, დამზადება, წარმოება, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება, დათესვა, მოყვანა და ა.შ.

ამასთან, საქართველოში სპირტიანი სასმელების მიწოდების, აღრიცხვის, დაბეგვრის, საკითხები რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 27 ივნისის №193 ბრძანებით „ნავთობპროდუქტების, ეთილის სპირტის და სპირტიანი სასმელების მიწოდების აღრიცხვის და დაბეგვრის კონტროლის ღონისძიებათა შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ხოლო თამბაქოს კონტროლის შესახებ სამართლებრივი საკითხები მოწესრიგებულია როგორც საქართველოს კანონით „თამბაქოს კონტროლის შესახებ“, ასევე „საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №196 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. ასევე, თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების დაბეგვრის საკითხებს არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი. ამასთან, თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების რეალიზაციის საკითხი ასევე დარეგულირებულია „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია არასრულწლოვანთათვის როგორც ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს მიყიდვა, ასევე არასრულწლოვანთა მიერ ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს რეალიზაცია და ალკოჰოლური სასმელების, ლუდისა და თამბაქოს რეალიზაცია საგანმანათლებლო, სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში და მათ ტერიტორიაზე. შესაბამისად, აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევისათვის გათვალისწინებულია სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. გამომდინარე იქიდან, რომ სარეფერენდუმო შეკითხვაში მოცემული კანაფისა და კანაფის პროდუქტების თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების მსგავსად რეგულირებაში შესაძლოა მოიაზრებოდეს როგორც მათი მოხმარება, ასევე რეალიზაციაც, ბუნდოვანი და გაურკვეველია, სარეფერენდუმო შეკითხვის ავტორები ტერმინ „რეგულირებაში“ გულისხმობენ მხოლოდ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების საკითხის დარეგულირებას თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების მსგავსად, თუ ასევე, თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების მსგავსად, მათ ანალოგიურად დარეგულირებას რეალიზაციის, მათ შორის საცალო ქსელში რეალიზაციის, შენახვისა თუ სხვა პარამეტრების კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარეფერენდუმო - საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული კითხვის ის ნაწილი, რომელიც შეეხება კანაფისა და მისი პროდუქტების თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების მსგავსად რეგულირებას, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაჩნია, რომ ბუნდოვანი იქნება რეფერენდუმში მონაწილეთათვის, რადგან გაუგებარი იქნება, ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი

საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების მსგავსად რეგულირების გადაწყვეტილებას უნდა დაუჭირონ მათ მხარი, რაც ქმნის იმის მყარ საფუძველს, რომ რეფერენდუმში მონაწილეთათვის რთული იქნება კანაფისა და კანაფის პროდუქტების ლეგალიზაციის საკითხის შედარება თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების საკითხთან და შესაბამისად, არჩევანის გაკეთება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მრავალი თვალსაზრისით, სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი არ წარმოადგენს მკაფიო და კონკრეტულ შეთავაზებას რეფერენდუმში მონაწილეთათვის. შესაბამისად, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიაჩნია, რომ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი - „თანახმა ხართ თუ არა, რომ მოხდეს კანაფის და კანაფის პროდუქტების ლეგალიზაცია, ანუ ისევე რეგულირდებოდეს, როგორც თამბაქო და სპირტიანი სასმელები?“ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 175-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს ორგანული კანონის „რეფერენდუმის შესახებ“ მე-10 მუხლის პირველ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 175-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების და საქართველოს ორგანული კანონის „რეფერენდუმის შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე საინიციატივო ჯგუფს (ზურაბ ჯაფარიძის, ვახტანგ მეგრელიშვილის და იაგო ხვიჩიას შემადგენლობით) და მის მიერ შემოთავაზებულ სარეფერენდუმო საკითხს: „თანახმა ხართ თუ არა, რომ მოხდეს კანაფის და კანაფის პროდუქტების ლეგალიზაცია, ანუ ისევე რეგულირდებოდეს, როგორც თამბაქო და სპირტიანი სასმელები?“.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი